საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1473
03/05/2022

1473-21-2-202205031739

შპს „ჯდკ"-ს

მის: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა გორა

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8075 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 820 მეტრს, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით (ს/კ: 35.02.54.173). ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ–დასავლეთით, დაახლოებით 105 მეტრში, ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 35.02.56.134), რომელზეც განთავსებულია შენობა–ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული რეზერვუარის ტიპი (მასალა, ჰორიზონტალური/ ვერტიკალური და სხვ.);
- დოკუმენტის მიხედვით, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ, ბეტონისკედლიან (წყალგაუმტარი) საკანალიზაციო ჭაში, რომლის დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვების ობიექტის დასახელება;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ დაგეგმილი ობიექტის ჩრდილო–დასავლეთით, დაახლოებით 166 მეტრში, მდებარეობს შპს „ლუკოილ ჯორჯიას" (ს/კ: 35.02.54.145) ავტოგასამართი სადგური. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი ობიექტების ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო